



**საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს
საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს იუნესკოში
მის აღმატებულება გოჩა ჯავახიშვილს**

2024 წლის 15 თებერვალი

კულტურის განყოფილება
მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი

CLT/WHC/ENA/24/14702

თქვენო აღმატებულება,

დამატებით მოგმართავთ ჩემს მიერ დაწერილ 18 დეკემბრის წერილთან დაკავშირებით, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის/ICOMOS-ის/ICCROM-ის მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის „გელათის მონასტრის“ მონიტორინგის ერთობლივი მისიის შემოთავაზებული თარიღების საკითხზე.

თქვენმა კომპეტენტურმა უწყებებმა მონიტორინგის სასურველ პერიოდად მიუთითეს 25-29 მარტის პერიოდი. თუმცა, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მოახლოებული 46-ე სესიის თარიღების გათვალისწინებით, რომელიც ჩატარდება ნიუ დელიში, ინდოეთში, 2024 წლის 21-31 ივლისს და მასთან დაკავშირებული გადატვირთული სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით, ასევე ICOMOS International-თან და ICCROM-თან კონსულტაციის შემდეგ, მინდა გაცნობოთ, რომ იუნესკოს და საკონსულტაციო უწყებებს ურჩევნიათ მონიტორინგის მისიის ვიზიტი განხორციელდეს 2024 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში. ეს განრიგი მეტ დროს მისცემს მასპინძელ ქვეყანას, განახორციელოს 2022 წლის დეკემბრის საკონსულტაციო მისიის რეკომენდაციები და ამავდროულად მისცემს საკმარის დროს მისიას დასკვნის მოსამზადებლად და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტისთვის წარსადგენად 2025 წლის 47-ე სესიამდე საკმაოდ ადრე, N 45 COM 7B.54 გადაწყვეტილების შესაბამისად.

მოგმართავთ თხოვნით, თქვენმა კომპეტენტურმა უწყებებმა მაქსიმალურად მოკლე ვადაში დაგვიდასტურონ, არის თუ არა შემოთავაზებული ვადები მისაღები. მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი მისიას დროულად მიაწვდის სპეციფიკაციების პროექტს. ბოლოს, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მონიტორინგის მისიის ხარჯებს მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდი დაფარავს.

ამასთან, წარმოგიდგინთ ICOMOS-ის ტექნიკურ მიმოხილვას (იხილეთ დანართი) ღვთისმშობლის შობის ტაძრის დროებითი გადახურვის მოწყობის რეკომენდაციის შესახებ. დეტალური შეფასების შემდეგ, ICOMOS International გთავაზობთ არაერთ რეკომენდაციას გადახურვის მოწყობაზე, ამ უკანასკნელში განსაკუთრებითაა გამახვილებული ყურადღება სამხრეთ-

აღმოსავლეთის მთავარი სვეტის და შემოთავაზებული ხარაჩოების სისტემის სამხრეთ გარე მეორადი სვეტის ქვესტრუქტურებზე.

გთხოვთ ტექნიკური მიმოხილვა გააცნოთ თქვენს შესაბამის უწყებებს და აცნობოთ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს მის რეკომენდაციებთან დაკავშირებით მიღებულ ზომებზე. როგორც ყოველთვის, ICOMOS-ი და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი ნებისმიერ დროს მზად არის უპასუხოს თქვენი კომპეტენტური უწყებების კითხვებს.

გმადლობთ მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის განხორციელების საკითხში უწყვეტი თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

პატივისცემით,

ლაზარე ელუნდუ ასომო
დირექტორი

დანართი: ICOMOS-ის ტექნიკური მიმოხილვა

ასლი:
საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნულ კომისიას
ICOMOS International-ს
ICCROM-ს

ICOMOS-ის ტექნიკური მიმოხილვა

ობიექტი: გელათის მონასტერი

ქვეყანა: საქართველო

ობიექტის კოდი: 710bis

მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეყვანის თარიღი: 1994

კრიტერიუმი: (iv)

პროექტი: ღვთისმშობლის ტაძრის დროებითი გადახურვის მოწყობის წინადადება

შესავალი

2023 წლის 4 დეკემბერს, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრმა ICOMOS-ს მიაწოდა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეყვანილი ღვთისმშობლის ტაძრის დროებითი გადახურვის გარე ხარაჩოების მოწყობის პროექტი, რომელიც წარმოადგინა საქართველომ „საოპერაციო სახელმძღვანელო მითითებების“ 172-ე პუნქტის შესაბამისად.

საუბარია გელათის კომპლექსში ღვთისმშობლის ტაძრის თავზე და მის გარშემო ხარაჩოების მოწყობის სტრუქტურულ პროექტზე, რომელიც მომზადდა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლ „გელათის მონასტერში“ WHC/ICOMOS/ICCROM-ის ერთობლივი საკონსულტაციო მისიის 2022 წლის 28 ნოემბრის - 2 დეკემბრის მისიის რეკომენდაციების საფუძველზე, ტაძრის კედლებში წყლის შეღწევის მიზეზების გამოკვლევის, ფრესკების მდგომარეობის შეფასების, სველი ზედაპირის გაშრობის პროცესის კონტროლისა და დაზიანებული ფრესკების კონსერვაციის / აღდგენის და საბოლოო ჯამში საკათედრო ტაძარზე ახალი სახურავის მოწყობის მიზნით.

2022 წლის ერთობლივმა საკონსულტაციო მისიამ განსაზღვრა შემდეგი „განვითარების ინდიკატორები იმ კომპონენტების კონსერვაციის მონიტორინგისთვის, რომლებიც წარმოადგენენ სამონასტრო კომპლექსის გამორჩეულ უნივერსალურ ღირებულებას“ (დასკვნა, გვ.20):

4.1. მთავარ ტაძარში მონიტორინგის აქტივობების წინაპირობები

მასპინძელ ქვეყანას ეძლევა რეკომენდაცია დაუყოვნებლივ განახორციელოს ძეგლის სრული დამცავი საფარის მოწყობის პროექტი. შემოთავაზებულია ახალი დამცავი სახურავის შემდეგი დიზაინი:

- ძეგლის სრული გადახურვა, გუმბათის ჩათვლით, იმგვარად, რომ მის ექსტერიერსა და ინტერიერში ყველა არეალზე შესაძლებელი იყოს წვდომა (ინტერიერში ლითონის ხარაჩოების მოწყობასთან ერთად).
- ცუდი ამინდის პირობებში (თოვლი, წვიმა და ქარი) კონსტრუქციის მდგრადობის უზრუნველყოფა. სასურველია გამაგრდეს რკინის ძელების ელემენტებით, რომლებსაც შეუძლიათ სიმძიმის (თოვლის) გაძლება, იყოს დახრილი, წვიმის წყლის სწრაფად ჩამოსარეცხად, ერთმანეთთან დაკავშირებული ქარმედეგი ჯვარედინი მაკავშირებლებით (X) და დამაგრებული ბეტონის ფუძეებზე.
- ფასადების დაცვა ცუდი ამინდისგან.
- ძეგლზე მომუშავეთა დაცვა სხვადასხვა კლიმატურ პირობებში და ნაგებობის კონსტრუქციულ ქვებს შორის არსებული ღია ნაკერების შესავსებად ჩასატარებელი სამუშაოს წვდომა; ძეგლისა და სამუშაო ჯგუფის დაცვა გამჭოლი ქარისგან და წვიმისგან.

- სამუშაო ჯგუფისთვის განათების უზრუნველყოფა, გამჭვირვალე სექციების მონტაჟით. შემოწმდეს გვერდითი სანათების დასაფარად მყარი პლასტმასის ფურცლების ვარიანტი, რომლებიც დამაგრდება შესაფერის ლითონის ჩარჩოზე.
- არქეოლოგიური აღმოჩენების (მიწისქვეშა არხების და ა.შ.) დაცვა იმ ადგილებში, სადაც განთავსებულია სახურავის საყრდენები.
- დამცავი სახურავის ხანგრძლივი ადგილზე მოვლა.

ანალიზი

I. ქართული მხარის სამოტივაციო წერილში დაფიქსირებული მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ტაძარი მთლიანად უნდა გადაიხუროს, გარდა მისი გუმბათისა - რომელიც არ უნდა გადაიხუროს სამუშაოების მსვლელობისას (რასაც დაახლოებით 5-დან 7 წლამდე დასჭირდება). გუმბათის გადახურვა უნდა მოხდეს მხოლოდ სამუშაოების დასასრულს, თუ საჭირო გახდება მისი საფარის შეცვლა საფარის ახალი სისტემით. აღნიშნული არჩევანის მიზეზად მოყვანილია, ის, რომ გუმბათის გადასახურად საჭიროა ტაძრის ცენტრალურ არეალში 11 ლითონის ხარაჩოს ტიპის საყრდენი სვეტის მონტაჟი. ეს კი პრაქტიკულად აფერხებს საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურებას. ამასთან, წერილში ნათქვამია, რომ გელათის საკათედრო ტაძრის გუმბათის არსებული სახურავი კარგად ფუნქციონირებს და წყლის შეღწევის შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

თავისი მოსაზრების გასამყარებლად, ქართული მხარე გვთავაზობს ტაძრის გადახურვის ორ ტექნიკურ გადაწყვეტას:

- ა) პირველი ტექნიკური გადაწყვეტა - ტაძრის სრული გადახურვა, გუმბათის ჩათვლით, საყრდენი სვეტის მეშვეობით, რომელიც განთავსდება ტაძრის ცენტრში და
- ბ) ალტერნატიული ტექნიკური გადაწყვეტა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული გუმბათის გადახურვა და შესაბამისად, საყრდენი სვეტი არ არის განთავსებული ტაძრის ცენტრში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ერთობლივი საკონსულტაციო მისიის დასკვნაში მითითებულია:

კონსერვაციის საკითხების შეფასება

„ცალსახად ნათელია, რომ მთავარი პრობლემის წარმოქმნას ხელი შეუწყო შეუსაბამო გადახურვამ და ჰიდროიზოლაციამ, რამაც გამოიწვია წყლის შეღწევა. ამასთან, მხარეები ცალსახად თანხმდებიან, რომ ახლა უნდა დაიწყოს გაშრობის პროცესი, რაც ხელს შეუწყობს ვენტილაციას სახურავიდან (რაც უკვე დაიწყო დასავლეთ ფრთაში, ამაღლებული დროებითი სახურავით და თაღის შიდა ზედაპირიდან კრამიტის და ფხვიერი მასალის ადებით). ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს სხვა თაღებზე და გუმბათზე (ამაღლებული სახურავით, რომელიც მოიცავს ყველა უბანს), რათა ნაგებობა გაშრეს ნელი ტემპით და აორთქლება ძირითადად მიმართული იყოს გარეთ“. (გვ.15).

აქედან გამომდინარე, აუცილებელია მთელი სტრუქტურის დაცვა ტენის ნებისმიერი პოტენციური წყაროსგან და ტენის მუდმივი მონიტორინგი ტაძრის შიდა სივრცეში, გარეპირობების ინტეგრირებული კონტროლით.

„მნიშვნელოვანია გამახვილდეს ყურადღება ნაგებობას, მის კედლებს, სახურავებსა და შიდა დეკორატიულ ელემენტებს შორის არსებულ უშუალო კავშირზე“ (მონიტორინგის ერობლივი დასკვნა, გვ.15).

II. რაც შეეხება ქართული მხარის სამოტივაციო წერილსა და ტექნიკურ ანგარიშში მოცემულ განცხადებას, რომ „გელათის ტაძრის გუმბათის არსებული სახურავი ეფექტურად ფუნქციონირებს და წყლის შეღწევის შემთხვევები არ დაფიქსირებულა“ (სამოტივაციო წერილი, გვ.2 და დანართი 01, გვ. 3):

- ± ერთობლივი საკონსულტაციო მისიის დროს გუმბათის ზედა ნაწილის შიგნიდან შემოწმება ვერ მოხერხდა, რადგან საკმარისი სიმაღლის შიდა ხარაჩოები არ იყო მოწყობილი. ამრიგად, ვიზუალური შემოწმება მიმდინარეობდა გუმბათის სარტყლის ძირიდან ტელეობიექტივის დახმარებით. შესაბამისად, პანტოკრატორის ფრესკის მდგომარეობის დაზუსტებით შეფასება ვერ მოხერხდა. ფოტოებზე მაცხოვრის გამოსახულებაზე ბევრი ბუნდოვანი ლაქაა, რაც შესაძლებელია ნესტის გამო ფრესკის დაზიანების ამსახველი იყოს.
- ii. წყლის ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეღწევის თვალსაჩინო ნიშანი, რომელსაც ახლავს მარილის კრისტალიზაცია და ტენის ზემოქმედება ეკლესიის გუმბათის შიდა სამშენებლო ბლოკებზე და კედლის მხატვრობაზე, შეფასდა გუმბათის ყელის დონეზე. ყელის დასავლეთ მხარეს სარკმლებს შორის არსებულ სვეტებზე ტენმა სერიოზულად დააზიანა წინასწარმეტყველთა გამოსახულებები, ასევე გუმბათის ყელის საფუძვლის ქვები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სარკმლის ღიობები შორეულ წარსულში ამოშენებული იყო, უკიდურესად მაღალი გუმბათის მზიდი უნარის გასაზრდელად, ან წვიმის წყლის შემოსვლის პრევენციისთვის, ან ორივე მიზნით. ფაქტობრივად, ამის გამო, ტაძრიდან გარეთ ერთადერთი გასასვლელიც გადაკეტილია. გუმბათის დასავლეთ ნაწილში ტენის ზემოქმედება (ახალიდა ძველი) აშკარაა და ფაქტობრივად ფიქსირდება ქვით ნაშენ უბნებში, რომლებიც არაერთხელ გარემონტდა ცემენტის გამოყენებით, მათ შორის ახლო წარსულშიც, სარკმლების ღიობების ამოშენებიდან დიდი ხნის შემდეგ (ფოტოები N 1, 2, 3, 4).
- iii. ტექნიკურ დასკვნაში ფიქსირდება, რომ „წყლის შეღწევის პრობლემა წარმოიქმნება დროებითი სახურავისა და გუმბათის შეკავშირების“ (დანართი 01, გვ. 7). ერთობლივმა საკონსულტაციო მისიამ ყელის სარტყელზე აღმოაჩინა მიმდინარე ტენინაობის ზრდის პროცესი, რომელიც დიდი ხანია პროგრესირებს აფრებზე, რასაც ფრესკებისთვის დამღუპველი შედეგები მოჰყვა. ძლიერ დაზიანებული არელების შესახებ აღნიშნული შედეგები დაფიქსირდა ერთობლივი საკონსულტაციო მისიის დასკვნაში (გვ. 17 და ფოტოები 32, 33). დაზიანებული აფრები ტაძრის იატაკის დონიდან ჩანს. ფრესკა (რომელიც შესაძლოა წარსულში იყოს გადაღებული) შემორჩენილია მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ გუმბათში (სურ. 5, 6, 7, 8, 9, 10, 11).
- iv. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ გამოვრიცხავთ გუმბათის ძირის გარედან და სარკმლების არეალიდან ტენის შემოსვლის შესაძლებლობას - რაც ტაძარში რაიმე სამუშაოს დაწყებამდე წინასწარ უნდა გამოირიცხოს. ამ მხრივაც აუცილებელია საფუძვლიანი და ხანგრძლივი დეტალური შემოწმება, რათა ზუსტად დადგინდეს ნესტის კონკრეტული წყარო(ები). ICOMOS მიიჩნევს, რომ ეს შეუძლებელია, სანამ გუმბათი რჩება „გადაუხურავი“, ამას ემატება და რეგიონის რთული მეტეოროლოგიური პირობების მავნე ზემოქმედებას, განსაკუთრებით მკაცრი ზამთრის გათვალისწინებით.

- v. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ქართული მხარის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული გადაწყვეტა - ანუ გუმბათის გადაუხურავად დატოვება - მიუღებელია, რადგან არსებობს რისკი, რომ ფრესკების გაშრობის მთელი პროცესი და ტაძარში არსებული პირობების ინტეგრირებული კონტროლი არაეფექტური გახდება, ტენის შემოსვლის წყაროების დადგენის თვალსაზრისით. იგივე ითქმის დაზიანებული კედლის მოხატულობის დამუშავების პროცესზე და კონსერვაციაზე. გუმბათის კედლის მოხატულობის დაცვის პირობების დიფერენცირება ზიანს აყენებს „მოხატულობის მდგომარეობის, ტაძარში არსებული პირობების და კედლების შიგნით წყლის დონის აუცილებელ მონიტორინგს“ (საკონსულტაციო მისიის ერთობლივი დასკვნა, შეჯამება, რეკომენდაცია N 8).
- vi. ბოლოს, „კრამიტი უნდა შეიცვალოს მთავარი ტაძრის გუმბათზე და სამონასტრო კომპლექსის სხვა ნაგებობებზე, სადაც იგივე მოჭიქული კრამიტია გამოყენებული“. ეს დასკვნა - ერთობლივი საკონსულტაციო მისიის რეკომენდაცია, ეხება ტაძრის სახურავის ბოლო საფარში გამოყენებული კრამიტის მასალის ხარისხს. ეს ზომა საჭირო იქნება ახალი გადახურვის მონტაჟის ბოლო ეტაპზე: გოფრირებული სპილენძი სახურავებზე, ერთობლივი საკონსულტაციო მისიის დასკვნაში განმარტებული მიზეზების გამო („ახალი სახურავის მოწყობის ინსტრუქცია“) და რა თქმა უნდა გულისხმობს მთელი გუმბათის გადახურვას.

რეკომენდაციები

ტექნიკურ ანგარიშში ნათქვამია, რომ: „ჰორიზონტალური დატვირთვების დაბალანსებისთვის, როგორცაა ქარი და მიწისძვრა, გუმბათის კონსტრუქციას ტაძრის ცენტრში დასჭირდა საყრდენი. თავის მხრივ, ეს შეუძლებელს ხდის ტაძარში როგორც ლიტურგიის ჩატარებას, ასევე მნახველების შესვლას“ (დანართი 01, გვ. 6).

სარესტავრაციო სამუშაოების დროს საკათედრო ტაძარში ლიტურგიის ჩატარების გასაადვილებლად, ICOMOS გელათის სარეაბილიტაციო კომიტეტს ურჩევს განიხილოს შემდეგი ალტერნატიული ვარიანტი:

იმის გათვალისწინებით, რომ გუმბათი მთლიანად გადაიხურება და ცენტრალური სვეტის (ვერტიკალური მზიდის) არსებობის მოთხოვნის გათვალისწინებით, გუმბათის სტრუქტურის ჰორიზონტალური დატვირთვების დაბალანსებისთვის, როგორცაა ქარი და მიწისძვრა, ცხადია, რომ ეს კონსტრუქცია უნდა მივიდეს და დადგეს მიწის დონეზე. ცენტრალური საყრდენი შეიძლება დადგეს შუალედურ ჰორიზონტალურ სიბრტყეზე, რომელიც მოეწყობა იატაკის დონიდან შესაფერის სიმაღლეზე და გაუძლებს გადახურვის კონსტრუქციის წონას. ხარაჩოების კონსტრუქციის განივი კვეთის გეგმიდან გამომდინარე (დანართი 3, გვ.2), შუალედური სიბრტყე შეიძლება მოეწყოს პირველი ჰორიზონტალური საყრდენის სიმაღლეზე (დაახლოებით 10,10 მ.). საბოლოო ჯამში, ეს შუალედური ბრტყელი ზედაპირი შეიძლება დაემყაროს მიწის დონიდან დამაგრებულ 4 მეტალის სვეტს, რომელიც გუმბათქვეშა კვარდატის კუთხეებში იქნება განლაგებული და ერთმანეთთან იქნება დაკავშირებული ჯვარედინად, შესაბამის სიმაღლეზე. ალტერნატიულად, სამუშაო შუალედური დონე შეიძლება დაეყრდნოს საკათედრო ტაძრის ცენტრის გვერდით მდებარე მძიმე დატვირთვის კოშკებს - რომლებიც დამატებით დამაგრდება - ან ორივე საყრდენ სისტემას (სვეტებს და კოშკებს). ამრიგად, ეს ალტერნატიული გადაწყვეტა გამოათავისუფლებს საკმარის ადგილს საკათედრო ტაძრის ცენტრალურ ნაწილში (დაახლოებით

6,80 მ. 4 მეტალის სვეტს შორის), რათა არ შეიზღუდოს ლიტურგია და ტაძარში მომლოცველების და სტუმრების თავისუფლად მოძრაობა აღდგენითი სამუშაოების პერიოდში.

განმარტებით-სქემატური გეგმა თანდართულია, რომელიც ეფუძნება ქართული მხარის მიერ შემოთავაზებული მშენებლობის გეგმის მოდიფიკაციას (ფოტო 12).

ICOMOS აღნიშნავს, რომ მსგავსი პრობლემები არსებობს მცხეთაში, ჯვრის მონასტერში, რომელსაც ასევე უამრავი მომლოცველი სტუმრობს და რელიგიური ცერემონიებიც ტარდება. ამ შემთხვევაში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ჯვრის მონასტრის კონსერვაციის პროექტით შემოთავაზებული იყო 16 მეტალის სვეტისგან შემდგარი ჩარჩოს მოწყობა (2,30 მ-დან 3,00 მ-მდე დაშორებებით) ტაძრის ცენტრალურ ნაწილში (8,00 მ. x 8,60 მ.), სარესტავრაციო სამუშაოებისას გამოსაყენებელი ხარაჩოების საკმარისად გამაგრებისთვის (ჯვრის მონასტერში სამშენებლო ხარაჩოების მოწყობის პროექტი, 24/3/2023, გეგმა მე-2 გვერდზე).

ვინაიდან საჭიროა არსებული მდგომარეობის საფუძვლიანი კონტროლი და ინტერვენცია ჯვრის მონასტრის გუმბათის შიდა ზედაპირებზე არსებითი დეგრადაციის გამომწვევი მიზეზების გადასაწყვეტად და ნაგებობის კომპონენტების აღდგენის მიზნით, ამ შემთხვევაშიც ICOMOS-ის რეკომენდაციას, რომ ხარაჩოების კონსტრუქციის სიმაღლემ და საკვლევა სამუშაოებმა მიაღწიოს გუმბათის შიდა არეალს (ICOMOS-ის ტექნიკური მიმოხილვა, ჯვრის მონასტერში სამშენებლო ხარაჩოების მოწყობის კონსტრუქციული პროექტი, 2023 წლის მაისი).

III. ტექნიკურ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი საკმარისი ტექნიკური მონაცემები გარე ზედაპირის დონეების დასახურად შემოთავაზებული მასალის შემადგენლობის და სისქის შესახებ (Keder PVC) და არც თოვლისა და წყლის წონისადმი, ქარის წნევისადმი გამძლეობის სპეციფიკაციების და შესაძლო დეფორმაციების შესახებ, სახურავის გათბობის შემოთავაზებული სისტემის ცხელი ჰაერის ნაკადების გამო, რომელიც გამოყენებული იქნება ჭარბი თოვლის შემთხვევაში (დანართი 01, გვ. 6, „თოვლი და გათბობა“).

IV. ტექნიკურ ანგარიშში არ არის წარმოდგენილი სამშენებლო დეტალები ლითონის ჩარჩოებზე კონკრეტული საფარის მასალის (Keder PVC) მისამაგრებლად და არც იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი ჰიდროიზოლაციის პირობები და ქარის წნევისადმი გამძლეობა ფიქსაციის წერტილებზე, იმის გათვალისწინებით, რომ ეს მასალა გამოყენებული იქნება ტაძრის ექსტერიერის ყველა მხარეზე.

V. ტექნიკური ანგარიშის გათვლების მიხედვით:

2. თოვლი $s, k= 0.25 \text{ kN/m}^2$. სახურავიდან თოვლის ჩამოყრა უნდა მოხდეს როდესაც თოვლის საფარის სიმაღლე 10 სმ-ს გადააჭარბებს (დანართი 02, გვ. 2).

ტექნიკურ ანგარიშში შემოთავაზებულია სახურავის გათბობის სისტემა, რომელიც გამოყენებული იქნება წელიწადში 2 ან 3 კვირის განმავლობაში ზედმეტი თოვლის შემთხვევაში. სისტემა ითვალისწინებს ჰაერით დროებითი საფარის ზედაპირის გათბობას $+6^{\circ}\text{C}$ ტემპერატურამდე, რათა არ მოხდეს თოვლის დაგროვება დროებით კონსტრუქციაზე. გათბობის სისტემა მუშაობს ელექტროენერგიაზე, ხოლო ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში გენერატორზე (დანართი 01, გვ. 6, „თოვლი და გათბობა“).

შემოთავაზებული სისტემა მოსახერხებელი ჩანს. თუმცა, გასათვალისწინებელია გადასახური ზონების დიდი ფართობი. სავარაუდოა, რომ დიდი რაოდენობით მსგავსი მოწყობილობების ერთდროულად მუშაობა საჭირო იქნება თოვლის დატვირთვის მოსახსნელად. არის თუ არა გათვლილი საფარის მასალის (Keder PVC) გამძლეობის (დეფორმაციის არარსებობის) უნარი ცხელი ჰაერის ტალღების მიმართ, რომლებიც მასზე ზემოქმედებას მოახდენს?

VI. ტექნიკურ ანგარიშში ICOMOS ადგენს, რომ არ არის ნახსენები ხარაჩოებზე მუშებისთვის დამცავი ბადის ან სხვა დამცავი სისტემის მოწყობის საჭიროება. ლითონის ბადე, რომელიც ტაძარში ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად უნდა ფარავდეს ხარაჩოებს, უზრუნველყოფს ხარაჩოებზე უსაფრთხო და შეუფერხებელ მუშაობას, ასევე იცავს ვიზიტორებს ხარაჩოებიდან ჩამოვარდნილი საგნებისგან.

რეკომენდაციები

ტექნიკური ანგარიში (დანართი 02, გვ. 105) მითითებულია, რომ „*ხარაჩოების მომწყობმა უნდა შემოწმოს, აქვს თუ არა გრუნტს საკმარისი ზიდვის უნარი!*“

ტექნიკური ანგარიში, დანართი 02, გვ. 663, ნახაზი N 2 – AR 44230-0723: „*ადგილზე უნდა შემოწმდეს ნაგებობის და გრუნტის ზიდვის უნარი*“.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ICOMOS აღნიშნავს, რომ არქეოლოგიური გათხრების დროს მონასტრის ტაძრების ირგვლივ აღმოჩენილია უძველესი სადრენაჟო არხები. უძველესი წყლის სადრენაჟო სისტემა დიდი ხანია მწყობრიდანაა გამოსული და მეტიც, არ ჩანს, რადგან მიწითაა დაფარული (იხ. ფოტოები დრენაჟის აღდგენა-რეაბილიტაციაზე (2018-2019), მოწოდებული ქართველ ექსპერტთა ჯგუფის მიერ; დანართი 2 – კონსერვაციის ანგარიში, გელათის მონასტერი, 2020 წ., გვ. 234, ნახაზი N4 – იხილეთ თანდართული: ფოტო 13, 14, 15, 16).

ძველი სადრენაჟო სისტემის განლაგება განსხვავდება წყლის შეგროვების და გატარების ახალი სისტემის (2019-2020 წწ.) განლაგებისგან, რომელიც შედგება წყალსადინარი მილებისგან, კანალიზაციის ქვებისგან და კანალიზაციის ქსელისგან, ღვთისმშობლის ტაძრის გარეთ. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამხრეთ-აღმოსავლეთ მთავარი სვეტისა და შემოთავაზებული ხარაჩოების კონსტრუქციის გარე სამხრეთ მეორადი სვეტის ქვესტრუქტურებს.

ICOMOS მზადაა ქართულ მხარეს მიაწოდოს დამატებითი განმარტებები ზემოაღნიშნულ საკითხებზე და საჭიროებისამებრ გაუწიოს დახმარება.

ICOMOS


2024 წლის თებერვალი

დანართი: ფოტოები

დანართი: ფოტოები



ფოტო 1. საყრდენი კედელი აქტიური ნესტის აშკარა ნიშნებით. ამოშენებული სარკმლის ღიობები გუმბათის ყელის დასავლეთ მხარეს.



ფოტო 2. გუმბათი მაცხოვრის გამოსახულებით, დატენიანების ნიშნები.

ფოტო 3. ამოშენებული სარკმლის ღიობები - გუმბათის ყელის დასავლეთ მხარე.



ფოტო 4. გუმბათის ყელის სარტყელი დასავლეთი მხარე - ამოშენებული ტაძრიდან გასასვლელი: წყლის ზემოქმედების ძველი და ახალი შედეგები.




ფოტო 5. გუმბათის საფუძველი - დასავლეთი მხარე: ნესტის შედეგი.



ფოტო. 6. ჩრდილო-დასავლეთ გუმბათის აფრა: ნესტის შედეგი.



ფოტო 7. ჩრდილო-დასავლეთ გუმბათის აფრა : ნესტის შედეგი.



ფოტო 8. ჩრდილო-დასავლეთ გუმბათის აფრა : ნესტის შედეგი.




ფოტო 9. სამხრეთ-დასავლეთ გუმბათის აფრა: ნესტის შედეგი.




ფოტო 10. ჩრდილო-აღმოსავლეთ გუმბათის აფრა: ნესტის შედეგი.



ფოტო 11. სამხრეთ-აღმოსავლეთ გუმბათის აფრა: არსებული მდგომარეობა.



ფოტო 12. ალტერნატიული ვარიანტის სქემა, ვერტიკალური საყრდენი კომპლექსის, გუმბათის სრულად გადახურვით.



ფოტო 13. მონასტრის ტაძრების ირგვლივ აღმოჩენილი უძველესი სადრენაჟე არხები.
 ფოტო 14. უძველესი სადრენაჟე კოლექტორი ღვთისმშობლის საკათედრო ტაძართან.



ფოტო 15. სადრენაჟე კოლექტორი მონასტრის ტერიტორიაზე, ტაძრებთან ახლოს.



ფოტო 16. ღვთისმშობლის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთი კარიბჭე, გარშემო ძველი სადრენაჟო სისტემით (ICOMOS-ის/მსოფლიო ბანკის საკონსულტაციო მისიის 2015 წლის ერთობლივი ანგარიში, ფოტო 10).